ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

6 ოქტომბერი, შაბათი, 1990 წ.
№190 (10359) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საუბარი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

4 სექტემბერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე შეხვდა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ფლორენსიო კამპომანესს, რომელიც საქართველოში იმყოფება იმასთან დაკავშირებით, რომ ბორჯომში იხსნება ჭადრაკის გვირგვინის პრეტენდენტ ქალთა ტურნირი.

საუბრის დროს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლის გამო, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც თანამედროვეობის გამოჩენილი მოჭადრაკეთა სამშობლო. 1962 წლიდან — მთელი 28 წლის მანძილზე! — მსოფლიო გვირგვინი თბილისშია. და საერთოდ, ხშირად მსოფლიო პირველობაზე მატჩი ორ ქართველს შორის „შინაური ურთიერთობის გარკვევაა".

გივი გუმბარიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ კამპომანესს მობრძანებისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჭადრაკი და მოჭადრაკეები საქართველოში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ. ამის დადასტურებაა ის, რომ ბევრი ახალგაზრდა მისდევს უფროსი კოლეგების კვალს.

შეხვედრას ესწრებოდა საერთაშორისო დიდოსტატი ნანა ალექსანდრია, რომელმაც ხუმრობით, მაგრამ დიდი სერიოზულობით თქვა, რომ ჰაერში დაჰქრის იდეა მსოფლიო ნაკრებთან საქართველოს ნაკრების მატჩის შესახებ, და ჯერ კიდევ საკითხავია — ვინ მოიგებს.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე, საკავშირო ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, დიდოსტატი ევგენი ვასიუკოვი.

(საქინფორმი)



სურათზე: შეხვედრის დროს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# სეოკ-ი ერთი წლისაა

ზუსტად ერთი წლის წინათ, 1989 წლის 6 ოქტომბერს, არა მხოლოდ საქართველოს სპორტის, არამედ მთელი ჩვენი ერის ისტორიაში ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ელვისებურად ცვალებად ჩვენს დროში, ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, მით უფრო, 6 ოქტომბრამდე რამდენიმე თვით ადრე, როცა „ლელოს" რედაქციის საერთო ხელმძღვანელობით მუშაობას შეუდგა საორგანიზაციო კომიტეტი, ასეთი თამამი ნაბიჯის გადადგმა იოლი საქმე არ იყო. საქართველომ პირველმა დაიწყო ერთიანი და ურღვევი საბჭოთა სპორტული მოძრაობის დიქტატორული საფუძვლების შერყევა. მართალია, ჩვენზე ადრე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა გამოიღეს ხელი, მაგრამ მათ გასაბჭოებამდე ჰქონდათ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ახლა აღდგენას მოითხოვდნენ (კომიტეტი თურმე, ფაქტობრივად, არავითარი დოკუმენტით არ ყოფილა გაუქმებული). ცენტრი ამ მოთხოვნას შედარებით მშვიდად შეხვდა. უფრო „საშიში" მოძრობა დაიწყო საქართველოში, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე სპორტულ რესპუბლიკაში. ჩვენი ეოკ-ის შექმნა, ცენტრის აზრით, არასასურველი პრეცედენტი იქნებოდა და სხვა რესპუბლიკებსაც გამოაღვიძებდა. ფარული ხრიკების მიუხედავად, საქართველოში, პირველად საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მაინც შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ამ პროცესის შეჩერება აღარ შეიძლებოდა. ამიტომ ცენტრმა, აქაოდა, ქვეყნის ოლიმპიური მოძრაობის სადავეები ხელიდან მთლად არ გაგვექცესო, ჩათრევას ჩაყოლა არჩია — სასწრაფოდ გასცა განკარგულება, მოკავშირე რესპუბლიკებში შეექმნათ ეოკ-ები. „დასწრება" იმას ნიშნავდა, რომ ასეთი ეოკ-ები ადგილობრივი სპორტკომიტეტების ერთი ფორმალური რგოლი გახდებოდა. მაგალითი რუსეთმა მისცა სხვებს, თუმცა აქ უფრო შორს წავიდნენ — პრეზიდენტად აირჩიეს სპორტსმენი, მაგრამ პარტიული ფუნქციონერი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაკი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობის ერთწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სეოკ-ი და მისი აღმასკომი სწორ გზას ადგანან. სეოკ-თან ურთიერთობაში სწორ გზას ადგას აგრეთვე საქართველოს სპორტსახკომი, რომელიც სეოკ-ის შექმნის იდეიდან მოყოლებული მხარს უჭერს მხოლოდ მის სუვერენიტეტს. ყველა საკითხი წყდება შეთანხმებულად, ისე, როგორც ამას ჩვენი ეროვნული ინტერესები მოითხოვს. სპორტის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციებში გაწევრიანება, ეს კი მთავარი საკითხია, როგორც მოსალოდნელი იყო, რთულად მიდის. მიღწეული არც სინანულს იწვევს, არც უსაზღვრო აღფრთოვანებას. და მაინც ალბათ, გაკეთდა იმის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ამ ერთ წელიწადში შეიძლებოდა. სეოკ-ი, რესპუბლიკის სპორტსახკომი და ცალკეული ფედერაციები ყველაფერს აკეთებენ, რათა რეალური ვითარების შესატყვისად, ჩვენმა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გზა გაიკაფოს საერთაშორისო აღიარებისაკენ.

ამ ერთ წელიწადში საქართველოს სპორტულმა გუნდებმა თავიანთი შესაძლებლობები გააცნეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანას და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს. ესენი არიან კარატისტები და მორაგბეები, მკლავჭიდელები და ბრიჯის მოთამაშეები. ამ დღეებში პირველად გაემგზავრნენ ჩვენი მხედრები პარდუბიცეს ტრადიციულ საერთაშორისო სტიპლ-ჩეისში მონაწილეობის მისაღებად. სეოკ-ის მეშვეობით გაიბა საერთაშორისო კავშირები მასობრივ სპორტსა და მოსახლეობის გაჯანსაღების სფეროში წელს პირველად საქართველოში ჩატარდა ოლიმპიური დღე, შეიქმნა ოლიმპიური აკადემია...

მეტი სიხარული მოეტანოს მეორე წელიწადში გადამდგარ სეოკ-ს.

# ფერიცვალების მოლოდინში

ორწლიანი „პაუზის" შემდეგ ქვეყნის უძლიერეს ხელბურთელთა რიგებს დაუბრუნდა ქვეყნის ექსჩემპიონი თბილისის „ქარიშხალი", რომელიც ადრე „ბურევესტნიკის" სახელით იყო ცნობილი. თქმა არ უნდა, გულშემატკივრები კმაყოფილებით შეხვდნენ გუნდის სახელის გაქართულებას, და მისი თამაშის ფერიცვალების მოლოდინიც აქვთ. ეს კი ალბათ ამ დღეებში გამოჩნდება — „ქარიშხალი" ხომ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურს მასპინძლობს.

ასტრახანში, სადაც 13-19 სექტემბერს პირველი ტური ჩატარდა, თბილისელებმა მხოლოდ ლენინგრადის „ნევასთან" შეძლეს ერთადერთი ქულის აღება. შინ „ქარიშხალი" ეთამაშება მინსკის, კიევის, კუნცევოს არმიელებს, კრასნოდარის სკიფ-ს, ზაპოროჟიეს ზიი-ს.

გუშინ თბილისელები შეხვდნენ მინსკის ასკ-ს და გაიმარჯვა 23:22 (12:15).

დღეს მათი მეტოქეა კიევის გუნდი, ხვალ კი „ქარიშხალი" შეხვდება სკიფ-ს.

• • •

**გუშინ** გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა: ასკ (კუნცევო) — სკიფ-ი 23:26 (8:15) ზიი-ასკ (კიევი) 16:19 (10:10).

# ბრძოლას აგრძელებენ მესხი და ბრიუხოვეცი

**მოსკოვი.** აქ მიმდინარე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის „კრაფტ ჯენერალ ფუდს"-ის მეოთხედფინალში სხვებზე უფრო ადრე გავიდა თბილისელი ლეილა მესხი, რომელმაც საკმაოდ იოლად მოუგო ბულგარელ მაგდალენა მალეევას — 6:3, 6:1. მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, ამერიკელმა გრეთჰენ მეიჯერსმა (აჯობა ინგლისელ სარა ლუზემორს 6:3, 6:3), ავსტრალიელმა ანა მინტერმა (მოუგო იტალიელ ლაურა გოლარსას 7:3, 6:3), საბჭოთა ჩოგბურთელმა ელენა ბრიუხოვეცმა (დაამარცხა ლუქსემბურგელი კარინ კშვენდტი 7:6, 6:4)...

ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია იყო ლარისა სავჩენკოს დამარცხება ავსტრალიელ კრისტინ გოდრიჯთან 3:6, 6:7.

წყვილთა ტურნირის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს: მერსედეს პაზმა (არგენტინა) და ლარისა სავჩენკომ, საბჭოთა დუეტმა ელენა ბრიუხოვეცმა და ევგენია მანიუკოვამ (მოუგეს ჩეხოსლოვაკიელ ივანა იანკოვსკას და ევა მელიჩაროვას 6:4, 6:3).

**გუშინ ლეილა მესხმა მეოთხედფინალში დაამარცხა კარინა გაბხუდოვა (ჩეხოსლოვაკია) 4:6, 6:8, 6:1 და დღეს ნახევარფინალში შეხვდება ანა მინტერს.**

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში

# მთავარ მეტოქეს სძლიეს

**შეჯიბრებაში** საქართველოს ნაკრები გუნდი შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობს. მაყურებელი მოელოდა, რომ ხალიჩაზე იხილავდა ლერი ხაბელოვს, დავით გობეჯიშვილსა და ავთანდილ გოგოლიშვილს, მაგრამ როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონატმა დიდი ძალები წაართვა ჩვენს ფალავნებს და ისინი ისვენებენ.

რახან დ. გობეჯიშვილი ვახსენეთ, ვიტყვით იმასაც, რომ მაყურებელს შესაძლებლობა მიეცა ეხილა მისი უშუალო კონკურენტის (საკავშირო ნაკრებში) ალექსანდრე მედვედის ჭიდაობა და თავად შეეფასებინა მისი სიძლიერე.

ტურნირი ჭაბუკთა შეჯიბრებით დაიწყო (თასის მფლობელი გუნდის ვინაობა ჭაბუკთა და უფროსთა გუნდების შედეგების შეჯამებით გამოვლინდება). პირველ შეხვედრაში ჩვენი გუნდი სომხეთის ნაკრებს შეხვდა. მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ იოლად გაიმარჯვეს — 9:1. დღის სხვა შეხვედრები კი ასე დამთავრდა: ბელორუსია-ლენინგრადი 4:6, ბელორუსია-სომხეთი 6:4,

იხ. გვ. 2 გვ



# ფოთი თავს აწონებს უცხოელებს

## წყალთხილამურეები

**ფოთის** წყალსათხილამურო ბაზა ახლა თავად ჰგავს იმ სპორტსმენს, რომელიც დიდი შეჯიბრებისთვის ემზადება, დღითი დღე ხვეწს თავის ოსტატობას და სურს საუკეთესო სპორტულ ფორმაში შეხვდეს მას. დიახ, მას შემდეგ, რაც ფოთმა ევროპის წყალმოთხილამურეთა 1991 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მიიღო, აქ გამართული ყოველი ტურნირი ამ ასპარეზობისათვის მზადებას ემსახურება. ამ დღეებში ჩატარებულ დიდ საერთაშორისო და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა სიახლის თვალსაზრისით, კომერციულ ტურნირს (საპრიზო ფონდი 10500 მანეთს შეადგენდა) წმინდა სპორტულის გარდა, ცხადია, ეს დანიშნულებაც ჰქონდა. ჰქონდა და გაამართლა კიდეც — ფოთს მრავალი უცხოელი სპორტსმენი და სპეციალისტი ეწვია, რომელთა გამოსვლამ სხვა ელფერი შემატა ტურნირს და მასპინძლებს გამოცდილებაც შესძინა.

ტურნირზე შეიკრიბნენ ინგლისის, ავსტრიის, ბულგარეთის, საბჭოთა კავშირის და საქართველოს სპორტსმენები. ჩვენი სპორტსმენებისთვის, განსაკუთრებით კი ნაკრების ლიდერების — ხათუნა კორკელიასა და გენადი გურალიასათვის ეს შეჯიბრება შესანიშნავი შესაძლებლობა იყო საკუთარ ბაზაზე ძლიერ ევროპელ სპორტსმენებთან ძალების გამოცდისა. ეს გამოცდა მათ წარმატებით ჩააბარეს: ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერეს ავსტრიელ სპორტსმენს, ამ სახეობაში ევროპის ჩემპიონ ბრიტა გრებეს — მხოლოდ ხათუნა კორკელიამ გაუწია კონკურენცია. საბოლოოდ, გამარჯვება ევროპის ჩემპიონს დარჩა, ხათუნა კი მეორე ადგილზე გავიდა (მესამე იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ელენე სმირნოვა). ფიგურულ სრიალში კორკელიამ გრებეს კი აჯობა, მაგრამ პირველი ადგილის დაკავება მაინც ვერ შეძლო — საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმომადგენლის ტატიანა ავდონინას გამოცდილებამ თავისი გაიტანა და პირველობაც მან მოიპოვა. ხ. კორკელია ამ დისციპლინაშიც მეორე ადგილზე გავიდა (ბ. გრებე ამჯერად მესამე ადგილით დაკმაყოფილდა). ტრამპლინიდან ხტომაში თავი გამოიჩინა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა — გენადი გურალიამ. ძლიერი კონკურენტების — ინგლისელ ენდრი რუკისა (I ადგილი) და ავსტრიელ დანიელ დობრინგერის (II ადგილი) გვერდით კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე დადგომა ნამდვილად არ გახლავთ ურიგო შედეგი.

თავიანთი ამჟამინდელი მომზადებისა და შესაძლებლობების კვალობაზე სავსებით დამაკმაყოფილებლად იასპარეზეს ჩვენი გუნდის სხვა წევრებმაც. ამას ადასტურებს ის საპატიო II გუნდური ადგილი, საქართველოს ნაკრებმა რომ დაიმსახურა ამ უდავოდ მაღალი რანგის ტურნირში. ჩვენი წყალმოთხილამურეები, რომელთაც 4736,9 ქულა მოაგროვეს, მხოლოდ ინგლისელებს (5053 ქულა) ჩამორჩნენ და გაუსწრეს ავსტრიის (4628,8), საბჭოთა კავშირის (4525,6) და ბულგარეთის (2792,1) ნაკრებებს.

გასაგები მიზეზების გამო, მასპინძლები, ცხადია, დიდი ინტერესით ელოდნენ სტუმართა აზრს ფოთის წყალსათხილამურო კომპლექსის თაობაზე. უცხოელთა შეფასებას შეიძლება „კოლექტიური კომპლიმენტიც" ვუწოდოთ — საყოველთაო აზრით, ფოთის წყალსათხილამურო ბაზა უდავოდ იმსახურებს უმაღლესი რანგის შეჯიბრების მასპინძლობის უფლებას.

**თ. შენგელია**

# 4,1 მილიონი შვეიცარიული ფრანკი

**ნიუ-იორკი.** მალე აქ „მაკლოუს" სასტუმროში დაიწყება მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში დიდოსტატებს გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის.

ამ ბოლო მატჩის წინ პრეტენდენტებს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვთ: კასპაროვს — 2800 ქულა, რაც მსოფლიო ჭადრაკისთვის სარეკორდო მაჩვენებელია, კარპოვს კი 2730 ქულა.

ნიუ-იორკში გაიმართება 24 პარტიისგან შემდგარი მატჩის პირველი ნახევარი. გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც საბოლოოდ 12,5 ქულას მოაგროვებს, თუმცა მსოფლიო ჩემპიონს ხელს აძლევს ყაიმიც. მატჩის მეორე „მოქმედება" გაიმართება ლიონში (საფრანგეთი).

კასპაროვ-კარპოვის ორთაბრძოლის საპრიზო ფონდია 4,1 მილიონი შვეიცარიული ფრანკი, გამარჯვებული მიიღებს ამ თანხის 62,5 პროცენტს. თუ ბრძოლა ყაიმით დასრულდა, საპრიზო თანხა თანაბრად გაიყოფა.


ანატოლი ავაზნელი


მალხაზ ავაზნელი


გურამ მოდებაძე


ბესიკ ქოქოევი


დავით ბაგაური


თემურ აბუაშვილი


დავით ხახალეიშვილი


ვალერი კიბორძალიძე

САКАРТВЕЛОС

საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში

# როგორც სპექტაკლი...

**საქართველოს** ძიუდოისტთა ეროვნული ჩემპიონატი, (რომელიც ახლახან გორში ჩატარდა) ისეთი სპორტული ღონისძიებაა, რომელსაც მართლაც შეიძლება სპექტაკლი უწოდო. ამასთან, სამდღიანი შეჯიბრებისას (მთავარი მსაჯი გ. ჩიტაშვილი, მდივანი ა. მარტყოფლიშვილი) ზოგ წონაში 30-35 ფალავანი იბრძოდა პირველი ადგილისათვის. უშეღავათო ასპარეზობამ მაყურებელზეც სათანადო შთაბეჭდილება დატოვა.

შეჯიბრებას ბევრი სპეციალისტი ესწრებოდა. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი საფუძვლიანად აკვირდებოდა ყოველი ათლეტის ტატამზე გამოჩენას და ზოგიერთს, ალბათ, გუნებაში „რეკომენდაციას აძლევდა“ ნაკრების კანდიდატად მოწვევისათვის.

ასპარეზობა იმიტაც გახდა საინტერესო, რომ მასში ძიუდოს თითქმის ყველა წამყვანი ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ჩემპიონატში სულ 193 ფალავანი იბრძოდა, იბრძოდა სრული ძალით, ვაჟკაცურად, მაგრამ ქუთაისელი 19 წლის დავით ხახალეიშვილის გამოსვლას განსაკუთრებული გამოცოცხლება შეჰქონდა მაყურებლებში. იგი დამაჯერებლად გახდა საქართველოს ჩემპიონი. დათო თავის ამაგდარ მწვრთნელთან — ომარ მერაბიშვილთან ერთად ვინახულე და გამოვესაუბრე კიდეც. მან ძუნწად გამაცნო თავისი სპორტული ბიოგრაფია და ღიმილით გაიხსენა პირველი საქალაქო პირველობა ქუთაისში, სადაც თავის თანატოლ ბაშალეიშვილთან დამარცხდა.

— მაგრამ, — იგონებს დათო,— დიდხანს არ შევარჩინე და ორი თვის შემდეგ წავაქციე...

— დათო, ჭიდაობის მრავალი მოყვარული და სპეციალისტი ადევნებს თვალს შენს აღმასვლას და, მგონი, მათ ინტერესსაც გამოვხატავ ამ კითხვაში: ვინ მიგაჩნია უმთავრეს მოწინააღმდეგედ საბჭოთა კავშირში?

იგი არც კი დაფიქრებულა, ისე მიპასუხა:

— კუიბიშეველი კოსოროტოვი— ევროპის ახლანდელი ჩემპიონი. მასთან ორი ამხანაგური შეხვედრა გავმართე და ორივე მოვუგე, მაგრამ... ძალას და ოსტატობას ასე იოლად ვერ დაუწუნებს კაცი. ვფიქრობ, ჩვენი ოფიციალური შეხვედრაც შედგება და, ალბათ, ის გაარკვევს, ვის მიიწვევენ ნაკრებში. ისე კი, სიმართლე რომ მოგახსენოთ, იმედს არ ვკარგავ.

მწვრთნელი მომღიმარი თვალებით შეჰყურებს თავის აღსაზრდელს, რომელსაც მეოთხე კლასიდან ავარჯიშებს. დარწმუნებულია, რომ დათო მსოფლიო ჩემპიონის სანუკვარ ტიტულსაც მოიპოვებს. წარმატებები ვუსურვეთ ჭაბუკ ფალავანს...

ჩვენს საუბარს უსმენდა გორელი მოჭიდავე თემურ აბუაშვილი, რომელმაც ასევე პირველი ადგილი დაიკავა თავის წონაში (95 კგ). მანაც მადლიერებით ახსენა თავისი მწვრთნელი — საკუთარი ბიძა გივი საბაშვილი, აგრეთვე სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილი, რომელსაც ასევე დიდი ამაგი მიუძღვის მისი და მისი ამხანაგების სპორტულ დაოსტატებაში.

ცოცხალი, ტემპერამენტიანი ჭიდაობით მოხიბლა მაყურებელი ლაგოდეხელმა მამუკა მახათაძემ (60 კგ.) მას ყველა და მათ შორის მსაჯთა კოლეგიაც პირველ ადგილს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ფინალში მასზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა გორელი ანატოლი ავაზნელი და მამუკა საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ აქვე ჩემპიონის ძმა მალხაზიც გამოდიოდა (65 კგ.) და მანაც პირველი ადგილი დაიკავა.

ახლა ცოტა რამ უსიამო ინციდენტებზეც:

გურჯაანელი ბესიკ ხაჩიშვილი, რომელიც 65 კილოგრამ წონაში წარმატებით გამოდიოდა და ჩემპიონობას უმიზნებდა, თავისი ემოციების მსხვერპლი გახდა: ერთ-ერთ მეტოქესთან შერკინების წინ შუამავალი მსაჯის და არბიტრის გადალაპარაკება თავის საწინააღმდეგოდ მიიჩნია და უსაფუძვლოდ გაფიცხდა, ფსიქოლოგიურად მოიშალა და... დამარცხდა, შემდეგ კი ტატამი სულაც მიატოვა... სოხუმელმა მხეიძემ მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და, როგორც უდისციპლინომ, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის შ. ხაბარელის გულისწყრომა დაიმსახურა. იგი, ალბათ, გაირიცხება ნაკრებიდან. ასე დააკნინა თავისი სპორტული კარიერა პერსპექტიულმა მოჭიდავემ...

საპრიზო ადგილებზე გამოსულ გუნდებს და სპორტსმენებს გადაეცათ მედლები, აგრეთვე დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

დაბოლოს, კვლავ მტკივნეულ საკითხზე. საქმე ეხება კიმონოების პრობლემას. იგი ჩვენში უნგრეთიდან და პოლონეთიდან შემოჰქონდათ. ახლა? ახლა მოჭიდავეები მათ არსაიდან არ იღებენ და არსებულიც გაცვდა, წარამარა იხევა. მოჭიდავეები ერთმანეთს ანაცვლებენ ხოლმე. ნუთუ არ შეიძლება ამ საკითხის მოგვარება? ამბობენ, ჩვენი ქსოვილი უხეშია, არ ვარგაო, მაგრამ გამოსავალი აუცილებლად უნდა გამოინახოს.

## შედეგები

**60 კგ.** 1. ა. ავაზნელი (გორი), 2. მ. მახათაძე (ლაგოდეხი), 3. ზ. საღირაშვილი (დუშეთი) და ზ. დემეტრაშვილი (თბილისი).

**65 კგ.** 1. მ. ავაზნელი (გორი), 2. რ. ლომთაძე (ქუთაისი), 3. მ. აბაიაძე (გორი), და დ. ნაკანი (მესტია).

**71 კგ.** 1. გ. მოდებაძე (ჭიათურა), 2. ა. აზალაძე (გორი), 3. ზ. სამუკაშვილი (ახმეტა) და ბ. ბასილაშვილი (საგარეჯო).

**78 კგ.** 1. ბ. ქოქოევი, 2. გ. ხუციშვილი, 3. ი. უზნაძე და ი. წივილაძე (ოთხივე — თბილისი).

**86 კგ.** 1. დ. ბაგაური (გორი), 2. გ. გაჩეჩილაძე (თბილისი), 3. ზ. გოლეთიანი (ქუთაისი) და კ. ნადირაძე (თბილისი).

**95 კგ.** 1. თ. აბუაშვილი (გორი), 2. მ. ლობჟანიძე (თბილისი), 3. ი. ახალბედაშვილი და ვ. კიბორძალიძე (ორივე — გორი).

**+95 კგ.** 1. დ. ხახალეიშვილი (ქუთაისი), 2. შ. ბექაური (თბილისი), 3. დ. ჭელიძე (დუშეთი) და ზ. ყანჩაველი (რუსთავი).

**აბსოლუტური.** 1. ვ. კიბორძალიძე (გორი), 2. გ. მუმლაძე (ლაგოდეხი), 3. მ. ჯალაბაძე (გორი) და გ. ჭკუასელი (ქუთაისი).

**გუნდური.** 1. გორი — 41,5 ქულა; 2. თბილისი — 25,5; 3. ქუთაისი — 19.

**ილია თევდორაშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

* * *

შალვა კუკულავას ფოტოები.

საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

# ანგარიშები, ცხრილები, ანონსი

**თბილისი. სსი-ის სტადიონი. 8 ოქტომბერი.**

**სტუ (თბილისი) — „გელათი“ (ქუთაისი) 12:19 (6:8).**

**„სტუ“:** ნოზაძე; ბრაგვაძე, ბარძიმიშვილი, კომახიძე (გეგენავა), ლიპარტელიანი, თათარაშვილი, გიორჩელიძე; გიგაშვილი, შამათავა, მ. გიორგაძე (თეზელაშვილი); კობახიძე, დიდებულიძე, გოგეშვილი, კომლაძე; ლეჟავა.

**„გელათი“:** შანიძე; ბზიკაძე, აშოთია, ხუჭუა (სილაგაძე), თედოშვილი; შარიამიძე, ჯანაშია; ა. გიორგაძე (რუსაძე), გაბიძაშვილი, მარგველაშვილი (ლიკლიკაძე); ფიოლია, გიორგობიანი, ბეშკენაძე, თხელიძე; ჯიმშელეიშვილი.

**მსაჯი — მიხეილ გარუჩავა (თბილისი).**

**სანუგეშო** ჯგუფში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას იღებენ. სტუ და „გელათი“ ამ ადგილებზე პრეტენზიას აცხადებენ, ასე რომ, მატჩი მეტად პრინციპული გახლდათ.

ძლიერი ქარის გამო თამაშმა პოზიციური ხასიათი მიიღო. გუნდებმა მორკინალებით მოქმედება ამჯობინეს, რაც ფიზიკურად შედარებით უფრო ძლიერ ქუთაისელებს აძლევდათ ხელს. მასპინძლები პირველ ტაიმში დაწინაურდნენ: კობახიძემ საჯარიმო, ხოლო თათარაშვილმა არეკნი გაიტანა. თედოშვილმა საჯარიმოთი შეამცირა ანგარიშში სხვაობა.

მეორე ნახევრის დასაწყისში თბილისელები ჯერ კიდევ ტოლს არ უდებდნენ მეტოქეს ძალისმიერ თამაშში, ხოლო შემდეგ მათ ლელოსთან ზედიზედ ექვსჯერ (!) დანიშნულმა ხუთმეტრიანმა შერკინებებმა ისინი დაღალა და თხუთმეტიოდე წუთში სამი ლელო გაატანინეს მოწინააღმდეგეს. სამივე ლელო ერთმანეთის მსგავსი იყო: ხუთმეტრიან შერკინებაში ქუთაისელებმა ათი მოთამაშე ჩააყენეს, ძალით შეიტანეს ბურთი ლელოში და ორ შემთხვევაში ჯგუფური ლელო გაიტანეს, მესამედ კი ბზიკაძემ ისახელა თავი. ორი გარდასახვა თედოშვილმა და აშოთიამ შეაგდეს.

სტუ-მ მატჩის მიწურულს თამაში გაშალა, სრული ძალით ათამაშდნენ სამმეოთხედელები. მათ კარგად გამოიყენეს კომლაძის გარღვევის შედეგად შექმნილი უპირატესობა და მარაოს გათამაშებით ნოზაძემ ლელო გაიტანა, რომელიც გარდასახა კობახიძემ. ტექნიკოსების სამწუხაროდ, შეხვედრის დამთავრებამდე ცოტა დრო რჩებოდა და მეტის გაკეთება მათ ვეღარ შეძლეს.

**მერაბ რატიშვილი.**

საქართველოს ჩემპიონატში ჩატარდა ცამეტი ტური. სატურნირო ცხრილი დღეისათვის ასე გამოიყურება:

**უძლიერესთა ჯგუფი**
**(I-IV ადგილები)**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ელმავალი“ | 9 | 9 | 0 | 0 | 18 |
| „მიმინო“ | 12 | 8 | 1 | 3 | 17 |
| „ასოციაცია“ | 12 | 8 | 1 | 3 | 17 |
| „აია“ (ქუთაისი) | 9 | 8 | 0 | 1 | 16 |

**სანუგეშო ჯგუფი**
**(V-XII ადგილები)**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „გელათი“ (ქუთ.) | 13 | 8 | 0 | 5 | 16 |
| „იმერ.“ (ჭიათ.) | 13 | 6 | 1 | 6 | 13 |
| „აკადემია“ | 13 | 5 | 1 | 7 | 11 |
| სტუ | 12 | 5 | 0 | 7 | 10 |
| „შევარდენი“ | 13 | 5 | 0 | 8 | 10 |
| „ზოოვეტი“ | 13 | 3 | 0 | 10 | 6 |
| „სათაფლია“ (წყ.) | 12 | 3 | 0 | 9 | 6 |
| „უნივერსიტეტი“ | 13 | 2 | 0 | 11 | 4 |

მომდევნო ტურში დღეს, 6 ოქტომბერს, „აკადემია“ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე მიიღებს „უნივერსიტეტს“. მატჩი 15 საათზე დაიწყება. კვირას, 7 ოქტომბერს, სტუ ეთამაშება „ზოოვეტს“, ხოლო წყალტუბოში „სათაფლია“ — „იმერეთს“. ორშაბათს, 8 ოქტომბერს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე „შევარდენი“ უმასპინძლებს „გელათს“. შეხვედრა დაიწყება 16 საათზე.

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში

# მთავარ მეტოქეს სძლიეს

(დასასრული)

აზერბაიჯანი-უკრაინა 2:8, რსფსრ-ყაზახეთი 9:1, რსფსრ-აზერბაიჯანი 6:4.

საღამოს საქართველოს ნაკრებს ორი შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა — ლენინგრადისა და ბელორუსიის გუნდებთან. ივანე ყუშიტაშვილის (58 კგ) გამარჯვების შემდეგ ბრწყინვალედ იასპარეზა ნუგზარ ჭკუასელმა (52 კგ), რომელმაც ჯერ 15 ქულა აართვა მეტოქეს და ბოლოს წმინდა გამარჯვებაც მოიპოვა. სპეციალისტები პერსპექტიულ მოჭიდავედ მიიჩნევენ გივი სისაურს (57 კგ), რომელმაც ა. რახმატოვთან კარგად იჭიდავა და მეტოქეს არავითარი იმედი არ დაუტოვა გამარჯვებისა. 7:1 — ასე დასრულდა ეს შერკინება. დავით ბელთაძისა და გ. ჰასანოვის (62 კგ) ორთაბრძოლა დასაწყისში თანაბარი იყო, მაგრამ შემდეგ დათომ ქულები აართვა მეტოქეს და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. წონის შეცვლის შემდეგ ყველას აინტერესებდა ზაზა ზოზიროვის ასპარეზობის ხილვა 68 კგ წონით კატეგორიაში. მან ლამაზად შეასრულა კისრული, რომლის შემდეგაც მეტოქე, როგორც მოჭიდავეები იტყვიან, „წისქვილზეც დაატრიალა“ და 11:1 — ასე დასრულდა შეხვედრა. მომდევნო წონებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ყველა ორთაბრძოლა ჩვენმა ჭაბუკებმა აშკარა უპირატესობით მოიგეს და ანგარიშით 10:0 დაამარცხეს ლენინგრადის ნაკრები. ვერც ბელორუსიის გუნდმა გაუწია ღირსეული წინააღმდეგობა ჩვენს ბიჭებს და დიდი ანგარიშით დამარცხდა — 1:9.

ამ დღეს სპორტის სასახლეში მოხდა მეტად საინტერესო ფაქტი. უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის გუნდების შეხვედრის დროს უკრაინელთა მწვრთნელებმა ჩათვალეს, რომ მსაჯები რსფსრ-ის გუნდს ემხრობოდნენ და მთელმა გუნდმა მიატოვა შეჯიბრება. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: უკრაინა-ყაზახეთი 9:1, ყაზახეთი-აზერბაიჯანი 6:4, ლენინგრადი-სომხეთი 6:4.

მომდევნო დღის დილას ხალიჩაზე უკვე უფროსები გამოვიდნენ, აქ ჩვენმა გუნდმა სომხეთის ნაკრებს სძლია — 6:4. სხვა შეხვედრების შედეგები კი ასეთია: რსფსრ-აზერბაიჯანი 8:2, ბელორუსია-ლენინგრადი 8:2, ბელორუსია-სომხეთი 8:2, რსფსრ-ყაზახეთი 9:1, რსფსრ-აზერბაიჯანი 8:2. საღამოს რსფსრ-ის გუნდმა ლენინგრადის ნაკრები დაამარცხა 9:1.

შემდეგ კი ხალიჩაზე კვლავ ჭაბუკები გამოვიდნენ. საქართველოს ნაკრები ხვდებოდა მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულ რსფსრ-ის ძლიერ კოლექტივს. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა მეტად დაძაბული გამოდგა. პირველი „მიკრომატჩი“ ი. ყუშიტაშვილის უპირატესობით წარიმართა და მან გაიმარჯვა — 9:4. ნუგზარ ჭკუასელმა კი მეტოქესთან წმინდა გამარჯვება მოიპოვა. თავის მხრივ გივი სისაურმა დაამარცხა ა. ახმეტხანოვი (5:3) და გუნდი დააწინაურა — 3:0. დავით ბელთაძე ა. მუხტაროვთან ქულებით დამარცხდა, მაგრამ კვლავ კარგად იჭიდავა ზ. ზოზიროვმა, რომელმაც ასევე ქულებით (9:4) დაამარცხა ვ. იაკუჩაკოვი. საერთო ანგარიში გახდა — 4:1. მაგრამ შემდგომ ზედიზედ დამარცხდნენ ჩვენი მოჭიდავეები და ანგარიში გათანაბრდა — 4:4. ამან კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. გ. უბილავა და დ. მაგომედოვი სამ-სამი გაფრთხილებით მოხსნეს შეჯიბრებიდან და მატჩის საბოლოო ბედ-იღბალი, რომ იტყვიან, მერაბ ვალიევის ხელში იყო, რომელსაც ძლიერი მეტოქე — ა. შუბილინი — ჰყავდა. მერაბმა სიტყვა შეასრულა და თავისი გამარჯვებით გუნდსაც გამარჯვება მოუტანა — 5:4.

**გია ბურდული.**

* * *



**სურათზე:** საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები, რომელმაც საკავშირო თასის გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა.
ა. კოპლამაზაშვილის ფოტო.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

### „სამგურალი" (წყალტუბო) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:2 (0:1).

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 4 ოქტომბერი.

„სამგურალი": მიქაძე, ჩიხლაძე, ლ. ფეხტვენიძე (მუშკუდიანი, ბერაძე), ხურცილავა, ვ. ფეხტვენიძე, ხვიტია, ცნობილაძე, კერესელიძე, გოგელიძე, ხუნდაძე, ხარაბაძე (სიჭინავა).

„გურია": ქანთარია, ტყებუჩავა, გუჯაბიძე, დანელია, მაჟეიკასი, ცომაია, მიქაბერიძე, ფრიდრიკასი (ქურიძე), კორძაიძე (კაბისაშვილი), ფრიდონაშვილი, ჩხაიძე.

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ს. პრავოვი, რ. ჩიქოვანი (ორივე — გაგრა).

**მატჩმა** ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ქალაქის მკვიდრთა გარდა მრავლად მოვიდა მაყურებელი ახლომახლო ქალაქებიდან და რაიონებიდან. შეხვედრამ გაამართლა გულშემატკივართა იმედები. ორივე გუნდმა მეტად საინტერესოდ და ლამაზად ითამაშა. შეხვედრის დასაწყისშივე ლანჩხუთელებმა მასპინძლებს სწრაფი ტემპი შესთავაზეს და წარმატებასაც მიაღწიეს. მატჩის მე-4 წუთზე ელვისებურად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ, რობერტას ფრიდრიკასმა გახსნა ანგარიში. წყალტუბოელებმა შეძლეს „ფეხი აეწყოთ" სტუმართა მიერ შეთავაზებული ტემპისათვის და მალე თამაში გათანაბრდა, თუმცა ლანჩხუთელთა შეტევები უფრო სახიფათო იყო. პირველ ნახევარში მეკარეებს ბევრი სამუშაო არ ჰქონიათ, რადგან ზუსტად თამაშობდა ორივე გუნდის დაცვა.

მეორე ტაიმში მასპინძლები უფრო გააქტიურდნენ. 59-ე წუთზე კუთხურიდან გათამაშებულ ბურთს სტუმართა საჯარიმო მოედანზე თავით მისწვდა კერესელიძე, მაგრამ მისი დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს. მე-60 წუთზე კარგად ითამაშა მეკარე მიქაძემ, რომელმაც სტუმართა ერთ-ერთი მწვავე შეტევა განმუხტა და თავდამსხმელს ფეხიდან აართვა ბურთი. მაგრამ „გურიამ" მაინც შეძლო ანგარიშის გაზრდა: ფრიდრიკასმა მეორედ აიღო „სამგურალის" კარი. ორი წუთის შემდეგ, მატჩის 69-ე წუთზე, წყალტუბოელთა გუნდის ვეტერანმა ცნობილაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა ერთი საპასუხო ბურთი. ამ გოლის შემდეგ „სამგურალის" უპირატესობა გამოიკვეთა, მაგრამ გამოცდილებამ თავისი ქნა — ლანჩხუთელები უნარიანად იცავდნენ თავიანთ კარს და ანგარიში ბოლომდე შეინარჩუნეს.

**ომარ ჭუმბურიძე,**
„ლელოს" კორ.

* * *

ქუთაისში „ქუთაისმა" გალის „მზიურს" უმასპინძლა და გაიმარჯვა — 1:0.

**გუშინ** გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

**„ხანავარდო" (სამტრედია) — „ბათუმი" (ბათუმი) 0:1**

**„ივერია" (ხაშური) — „ცხუმი" (სოხუმი) 0:0**

**„შევარდენი-1906" (თბილისი) — „გორდა" (რუსთავი) 3:0**

**„კოლხეთი" (ხობი) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 1:1**

**„მერცხალი" (ოზურგეთი) — „იბერია" (თბილისი) 1:4**

**ამავე ტურის მატჩი ზუგდიდის „ოდიშსა" და გორის „დილას" შორის დღეს გაიმართება.**

### გივი ჩოხელი:

# ფეხბურთელი მაყურებლით ცხოვრობს

**თელავში** მოჰიდავედ რომ გაზრდილიყო, არც არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ ისეთი ფეხბურთელით, გივი ჩოხელი რომ იყო, მარტო თელავი კი არა, მთელი აღმოსავლეთ საქართველოც მოიწონებდა თავს. საამაყოდ თუნდაც ევროპის ჩემპიონობა ეყოფა, ოცდაათი წლის წინ რომ მოიპოვა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მიხეილ მესხსა და სლავა მეტრეველთან ერთად. დღეს გივი ჩოხელი თითქოს შორს დგას ყოველდღიური საფეხბურთო ცხოვრებიდან, მაგრამ ეროვნულ სტადიონზე მისული გულშემატკივარი ყოველთვის ნახავს მას დასავლეთ ტრიბუნაზე, იმ ტრიბუნაზე, მეოთხედი საუკუნის წინ მასაც რომ უკრავდა ტაშს.

● **ბატონო გივი, ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ ჩვენი მოგონებებით, ოცნებებით, ზოგჯერ ტკივილებითაც. რა დაგამახსოვრდათ თქვენი ბალღობიდან ყველაზე უკეთ?**

— ყოველი ადამიანი იმ დროჟამს აქებს, რომელშიც თავად უცხოვრია. ჩემი ყმაწვილობის საუკეთესო მოგონება თელავის სტადიონია, აქ ვიკრიბებოდით ხშირად, შაბათ-კვირაობით კი დოლ-გარმონის თანხლებით ჭიდაობა იმართებოდა. სპორტის მრავალ სახეობას მივდევდით: ფრენბურთს, კალათბურთს, ფეხბურთს... თითქმის ყოველ მათგანში ეწყობოდა რაიონული პირველობა. საბოლოოდ კი ფეხბურთმა დაიკავა თავისი ადგილი ჩემს ცხოვრებაში. ამიტომ ფეხბურთის რადიორეპორტაჟების მოსმენაც კი ზეიმის ტოლფასი იყო და როგორც კი ეროსის ხმას გავიგებდით, „თეფშა-რადიოს" მივეწებებოდით ხოლმე. თელავის ყოველ კუთხე-კუნჭულთან ჩემი ბავშვობის სიანცე მაკავშირებს და, როცა თბილისში გადმოვყავდი, დიდხანს ვორჭოფობდი, გავძლებდი კი აქ, შევძლებდი უთელავოდ ცხოვრებას?

● **რესპუბლიკის პირველ გუნდში რომ მოდიოდით, ალბათ გრძნობდით პასუხისმგებლობას მათ მიმართ, ვისი მაისურიც უნდა ჩაგეცვათ?**

— ჩემამდე ორ ნომერზე ელოშვილი თამაშობდა, მაგრამ თავიდანვე ამ ამპლუაში არ მათამაშეს, ხან ორ ნომერ მაისურს მაცმევდნენ, ხან — სამს, ოთხს და ბოლოს ამბობდნენ — ჩოხელი 234 ნომერიაო. პასუხისმგებლობას კი მთელი გუნდის წინაშე ვგრძნობდი. ვცდილობდი ჩემი უხეირო თამაშით მატჩის შედეგზე გავლენა არ მომეხდინა.

● **ალბათ, ეს პასუხისმგებლობა გაიძულებდათ, ყოველთვის კარგ ფორმაში ყოფილიყავით, თუმცა ყოველ სპორტსმენს აქვს თავისი „აქილევსის ქუსლი". თქვენ?**

— მართალია, ძალიან ბევრს ვმუშაობდი საკუთარ თავზე, მაგრამ სისწრაფე მაკლდა, ამაში შეიძლება ჩემი აღმოსავლური სიდინჯეც თამაშობდა გარკვეულ როლს. ამიტომ ძალიან მწყდებოდა გული, როცა საჭირო სისწრაფეს ვერ ვავითარებდი ხოლმე.

● **ახლანდელი ფეხბურთი კიდევ უფრო სწრაფი გახდა. სხვა რა ცვლილებებს ხედავთ თქვენს დროინდელ ფეხბურთსა და ახლანდელს შორის?**

— შეიცვალა სათამაშო სისტემები; თანდათანობით დაიკარგა გარემარბები; თითქმის გაერთიანდა თავდამსხმელისა და ნახევარმცველის ფუნქციები. მცველებიც მოწინააღმდეგის საჯარიმოსკენ მიილტვიან და გოლიც ხშირად გააქვთ. გარემარბი, შუამარბი, თავდამსხმელი... დღეს ეს ფუნქციები გაერთიანდა, „ფრთები" დაიკარგა და ამიტომ დაკარგა ფეხბურთელმა სანახაობრივი მხარე. არადა, ამ თამაშში შედეგის გარდა ხომ სწორედ არტისტიზმი, იმპროვიზაცია გვხიბლავს.

● **თქვენზე ამბობენ, ნაკრებში შემთხვევის წყალობით დაიმკვიდრა ადგილიო: ევროპის თასზე რომელიღაც საპასუხისმგებლო მატჩის წინ კესარევს ბრმანაწლავის შეტევა დაემართა, მწვრთნელმა მის ნაცვლად ჩოხელი დააყენა და გაუმართლა კიდეცო. ეს ის პერიოდი იყო, საბჭოთა ნაკრებმა შვეციის მსოფლიო ჩემპიონატზე სრული კრახი რომ განიცადა და განახლებას საჭიროებდა. სწორედ ამ ახალ ტალღასთან ერთად მოხვედით თქვენც.**

— შემთხვევითობა სპორტში არ არის გამორიცხული, მაგრამ კესარევს ვიდრე ბრმანაწლავი ასტკივდებოდა, მანამდე იმ ოც კაცში ხომ მოვხვდი, ფინალურ მატჩებში რომ უნდა ეთამაშა. მე ამას შემთხვევითობად არ ვთვლი. უბრალოდ, საბაბი იყო საჭირო, ნაკრებში რომ ადგილი დამემკვიდრებინა.

● **ნაკრებთან დაკავშირებით ერთი უსიამოვნო ფაქტი მინდა გაგახსენოთ: 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, კოლუმბიასთან მატჩი...**

— ეს შემთხვევა მეც კარგად მახსოვს. მაშინდელი პრესა წერდა, რომ იაშინმა და ჩოხელმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და გოლის გაშვებას მეკარე მცველს აბრალებს და მცველი — მეკარესო. მე არ უარვყოფ, პირველად ჩემი ბრალი იყო, იმიტომ, რომ საგოლე მომენტი ჩემს ფრთაზე შეიქმნა. შემდეგ — იაშინისა. მაშინაც ვაღიარებდი ჩემს შეცდომას. სამწუხაროა, რომ პრესამ არაობიექტურად გააშუქა ეს ფაქტი. იაშინს უყვარდა ქართველები, პატივს გვცემდა და ყოველთვის მხარში გვედგა. არ მახსოვს, ვინმეს კონფლიქტი ჰქონოდა მასთან.

● **1964 წელს თქვენ ლვიძლის ტკივილის გამო აღარ თამაშობდით და ტაშკენტის ისტორიულ მატჩში მაყურებლის როლში აღმოჩნდით. რას გრძნობდით მაშინ?**

— პირველ რიგში სინანულს, რომ არ შემეძლო ჩემი წვლილი შემეტანა ამ გამარჯვებაში. საერთოდ ძნელია, როცა ფეხბურთელი მაყურებლის როლს ეგუება, თანაც ასეთ საპასუხისმგებლო მატჩში. მახსოვს, დილით დავბრუნდით თბილისში, გახარებულები, ბედნიერები. იმ წუთების დავიწყება შეუძლებელია.

● **თამაშს რომ თავი დაანებეთ, თქვენს გუნდს ჩაუდექით სათავეში. ამ ეტაპზე თქვენ ვ. სოლოვიოვი შეცვალეთ. როგორ ფიქრობთ, შეძელით „ქართული ხელი" დაგემჩნიათ გუნდისთვის?**

— მე ამას ყოველთვის ვცდილობდი — მსურდა, გუნდს ქართული ფეხბურთისათვის დამახასიათებელი სტილით ეთამაშა.

● **თქვენი მწვრთნელად მუშაობისას ერთ-ერთ მიღწევად საბჭოთა კავშირის თასის ფინალში გასვლა უნდა მივიჩნიოთ. რა მოხდა ფინალში?**

— ნურავის დავაბრალებთ იმ მარცხს. ჩვენ ფინალში მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ძველ გულშემატკივართ უკეთ ემახსოვრებათ — ავად გაგვიხდა გივი ნოდია; შეუძლოდ გრძნობდა თავს ცხოვრებოვი და, ბუნებრივია, ამან გუნდში ტაქტიკური ცვლილებები გამოიწვია. აი, 1960 წელს რომ დავმარცხდით თასის ფინალში, თავისი „ობიექტურობით" მაშინ გახდა ცნობილი საქართველოში კიეველი მსაჯი ა. ცაპოვეცკი. ხალხს მიაჩნდა, რომ მან წაგვაგებინა, მაგრამ ჩვენც ვცოდავდით. იმ მატჩში მეც შემეძლო გოლის გატანა, შემდეგ ჩემი შეცდომის წყალობით ივანოვმა ისარგებლა და ბურთი გაგვიტანა. არაობიექტური მსაჯობა მეასეთიც მახსოვს: მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე ბურთი რომ აუტში გავიდა, მსაჯი გოლის ჩათვლას აპირებდა და ვიდრე ჩვენი მოწინააღმდეგეებიც არ ჩაერივნენ, გადაწყვეტილება ვერ შევაცვლევინეთ. სამწუხაროდ, არ მახსოვს იმ მსაჯის გვარი: ასეთი კურიოზები ისედაც მრავლად იყო და, აღარ არის საჭირო სხვა ფაქტებსაც ეჭვის თვალით შევხედოთ. 1953 წელს თითქმის მოგებული ჩემპიონატი ხელახლა გადაათამაშებინეს მაშინდელ თბილისის „დინამოს". ამაზე მეტი კურიოზი?

● **თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რომ უფრო დაიხვეწოს ეროვნული ჩემპიონატი?**

— ფეხბურთელს გულშემატკივართა მხარდაჭერა სჭირდება. ახლაც, 50 წელს გადაცილებული კაცი, როცა დროს ვნახავ და დილმის ბაზას მივაშურებ სავარჯიშოდ. მსიამოვნებს, თუ ვინმე მიცქერის. უდავოა, გულშემატკივარი კარგი თამაშით უნდა მიიზიდო. ერთხელ ხალხმა „არარატთან" მარცხის შემდეგ პროტესტი გამოგვიცხადა — მინდორზე გამოსულთ ცარიელი ტრიბუნები დაგვხვდა. პირველსავე ტაიმში დავწინაურდით და შეხვედრის მეორე ნახევარში ტრიბუნაზე გულშემატკივარიც გამოჩნდა. პირველი, რაც ეროვნულ ჩემპიონატს სჭირდება, ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერაა. მაგრამ ხალხს არ უყვარს, როცა რაიმეს „მიაჩუმათებენ" ხოლმე. ყველა ინციდენტი, რაც ეროვნულ ჩემპიონატში ხდება, საზოგადოების მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. მე, როგორც სადისციპლინო კომისიის წევრი, ხშირად ვესწრები ამ კომისიის სხდომებს და ვხედავ, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოგვიწევს, ვიდრე სრულყოფილ ჩემპიონატს ჩავატარებდეთ. უკვე ვთქვი, ფეხბურთელი მაყურებლით ცხოვრობს, მაყურებლის სიამოვნებისათვის თამაშობს, გულშემატკივარს კი მოსწონს, უყვარს სპორტის ეს სახეობა და სურს, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღოს მისგან. და მე ძალიან მწყდება გული იმის გამო, რომ დღეს გულშემატკივრები და ფეხბურთელები თითქოს გათიშულები არიან, არადა, მახსოვს დილმის ბაზის მისადგომები ვარჯიშის დროსაც კი გადაჭედილი იყო ხალხით, ორმხრივ თამაშზე აღარას ვამბობ. დღევანდელმა ფეხბურთის გულშემატკივარმა კი ეს სიყვარული გულის კუნჭულში მიამწყვდია და ტრადიციადქცეული ურთიერთობა ფეხბურთელებთან დაივიწყა.

საჭიროა, ყველა, ვისაც კი ძალგვიძს რაიმე გავაკეთოთ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ, გავისარჯოთ, და ის გზა გავიკვალოთ, რომელიც ფიფა-სა და უეფა-მდე მიგვიყვანს. მანამდე კი, ჰაერივით საჭიროა უცხოეთთან კონტაქტები არა მარტო ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელების, არამედ ნორჩებისთვისაც, მათთვის, ვინც ქართული ფეხბურთის მომავალი უნდა იტვირთოს.

ესაუბრა
**ინგა ჩახვაშვილი.**



ერთ-ერთი ეპიზოდი 1960 წლის საბჭოთა კავშირის თასის გახმაურებული ფინალიდან. სწორედ ამ შეხვედრას სჯიდა კიეველი მსაჯი ცაპოვეცკი. თამამ ნახტომში ს. კოტრიკაძე ფეხიდან ართმევს ბურთს ბ. ბატანოვს, უკანა პლანზე გივი ჩოხელია.

ფოტო „ლელოს" არქივიდან.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**გასულ** ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი წრის მეორე ტურის შეხვედრები.

საბჭოთა კლუბებიდან გათამაშების მეორე ეტაპზე გასვლის ყველაზე რეალური შანსი ჰქონდა მოსკოვის „სპარტაკს", რომელმაც პრაღის „სპარტას" პირველ მატჩში ჩემპიონთა თასზე მისსავე მინდორზე მოუგო ანგარიშით 2:0. იგივე ანგარიში გამეორდა მეორე მატჩშიც და მოსკოვის „სპარტაკი" გათამაშების მეორე წრეში გავიდა.

კიევის დინამოელებმა ფინეთის „კუოპიო პალოსეურასთან" ფრედ დამთავრებული პირველი შეხვედრის შემდეგ (2:2) შინ მიიღეს მეტოქე, გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0 და ბრძოლას განაგრძობენ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

ერთადერთი გუნდი სსრ კავშირიდან, რომელიც გამოეთიშა ევროპული თასების გათამაშებას, არის დნეპროპეტროვსკის „დნეპრი". დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა პირველი შეხვედრა უეფა-ს თასზე შოტლანდიის „ჰართსთან" საკუთარ მინდორზე დაამთავრეს ფრედ — 1:1. „ჰართსმა" კარგად გამოიყენა თავისი შანსი, საპასუხო შეხვედრა მოიგო ანგარიშით 3:1 და ორი მატჩის ჯამში გავიდა მეთექვსმეტედფინალში.

ორი საბჭოთა გუნდი განაგრძობს ასპარეზობას უეფა-ს თასზე. მოსკოვის ტორპედოელებმა გეტებორგში ფრედ დაამთავრეს შეხვედრა შვეციის გაის-თან — 1:1 და, რადგან პირველი თამაში მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 4:1 საერთო გამარჯვებაც მათ დარჩათ. ნორვეგიის ქალაქ ტრონჰეიმის „რუსენბორგისა" და ოდესის „ჩერნომორეცის" შეხვედრაში გაიმარჯვეს ნორვეგიელმა ფეხბურთელებმა — 2:1. „ჩერნომორეცს" პირველი მატჩი შინ მოგებული ჰქონდა ანგარიშით 3:1 და შეჯიბრებასაც იგი განაგრძობს.

ევროპის საკლუბო ტურნირების მეორე ტურში რამდენიმე უჩვეულო ანგარიში აღინიშნა. ასე, მაგალითად, პორტუგალიის „პორტომ" მეტოქის მინდორზე ჩრდილოეთ ირლანდიის „პორტდაუნთან" გაიმარჯვა ანგარიშით 8:1, ესპანეთის „ბარსელონამ" თურქეთის „ტრაბზონსპორს" მოუგო ანგარიშით 7:0, ხოლო იტალიის „იუვენტუსმა" დაამარცხა ბულგარეთის „სლივენა" — 6:1.

## I ლიგა

**4 ოქტომბერს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები.

სოხუმის დინამოელებმა შინ მიიღეს ბაქოს „ნეფთჩი" და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

## პუმპიდოსთან კონტრაქტი უქმდება

**სევილიის** „ბეტისის" გუნდის ხელმძღვანელობამ აცნობა განთქმულ არგენტინელ მეკარე ნერი პუმპიდოს, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატში მძიმე ტრავმა მიიღო, რომ წყვეტს მასთან კონტრაქტს. პუმპიდო ახლა კვლავ მკურნალობს და ეტყობა, მწყობრში მომავალი წლის დასაწყისში ჩადგება.

## მასპინძლებს ვერავინ აჯობა

**ბორის** საჭადრაკო კლუბ „მთიებში“ დასრულდა პირველი ქართველი ოსტატის და საჭადრაკო მოღვაწის ვიქტორ გოგლიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა 4 დიდოსტატი, 4 საერთაშორისო ოსტატი, 1 ფიდე-ს ოსტატი, აგრეთვე 4 თბილისელი მოჭადრაკე, რომელთაგან სამმა — ლაშა ჯანჯღავამ, ზურაბ სტურუამ და იგორ ეფიმოვმა 8-8 ქულა მოაგროვეს და პირველი სამი ადგილი გაიყვეს. ლაშა ჯანჯღავამ აქ დიდოსტატის მესამე ბალი შეასრულა და მას ფიდე უახლოეს ხანში საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას მიანიჭებს. ეს დიდი წარმატებაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მესამეკურსელი 20 წლის ჭაბუკისათვის. დანარჩენი ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: მეოთხე ადგილზე 6 ქულით გავიდა მოსკოველი დიდოსტატი გრიგორ კაიდანოვი; 5,5-5,5 ქულით V-VII ადგილები გაიყვეს კიეველმა დიდოსტატმა სემიონ პალატნიკმა, ხარკოველმა დიდოსტატმა ვლადიმერ სავონმა, ლენინგრადელმა იური პოლოვოდინმა 4,5 ქულა მოაგროვა, ბულგარელმა პეტრე გენოვმა, 4 ქულა — თბილისელმა თამაზ ტაბატაძემ; 3,5-3,5 ქულით XI-XII ადგილები გაიყვეს იუგოსლაველმა და უნგრელმა ოსტატებმა ა. დრაგომილოვიჩმა და ლ. ვადასმა,

**ილია ალაზნისპირელი,**
**„ლელოს“ კორ.**

## ევროპის საკლუბო თასებზე

**გაიმართა** კალათბურთელთა ევროპის საკლუბო ტურნირების მორიგი მატჩები.

**ჩემპიონთა თასი.** მოსკოვის არმიელთა კოლექტივი გავიდა გათამაშების მერვედფინალში. გუნდმა განმეორებით შეხვედრაში, შინ, რუმინეთის კლუბი „სტიაუა“ (ბუქარესტი) დაამარცხა 104:61 (50:27). შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩიც არმიელმა კალათბურთელებმა მოიგეს.

**კორაჩის თასი.** ვარნაში, ადგილობრივ „აკადემიკთან“ დამარცხების მიუხედავად (71:88) ალმა-ათის ასკ გავიდა გათამაშების მომდევნო ეტაპზე, ვინაიდან პირველი ორთაბრძოლა მოგებული ჰქონდა უკეთესი ანგარიშით 85:63.

ტურნირს გააგრძელებს ტალინის „კალევიც“, რომელმაც ორივე შეხვედრაშიც აჯობა ჩეხოსლოვაკიის კლუბ „ბანიკს“. პირველი მატჩი, რომელიც ესტონეთის დედაქალაქში ჩატარდა, დამთავრდა ანგარიშით 107:87, მეორე კი (სტუმრად) 86:85 (41:40).

ორივე შეხვედრა მოუგო ფინეთის კტპ-ს (კოტკა) კიევის „ბუდიველნიკმა“. პირველი მატჩის ანგარიშია 88:84, მეორისა — 84:78 (52:43).

რიგაში ადგილობრივმა ვეფ-მა დაამარცხა ბუქარესტის კლუბი „ცედ“-ი 139:59 (58:32).



### მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

# კასპაროვი-კარპოვი: არნახული შერკინება

### უკანასკნელმა პარტიამ გადაწყვიტა

**ზედიზედ** ორ მატჩში დამარცხებულ კარპოვს ფიდე-მ მაინც მიანიჭა ერთი დიდი უპირატესობა: თუ სხვა თოთხმეტმა პრეტენდენტმა თამაში მერვედფინალიდან დაიწყო, შემდეგ ბრძოლა მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალურ მატჩებში გააგრძელა, კარპოვი პირდაპირ „სუპერფინალურ“ მატჩში შეახვედრეს პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამარჯვებულ ანდრეი სოკოლოვს, რომელმაც ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მსოფლიოს ექსჩემპიონს.

კასპაროვ-კარპოვის მეოთხე მატჩი სევილიაში (ესპანეთი) ჩატარდა. იგი მიმდინარეობდა 1987 წლის 12 ოქტომბრიდან 19 დეკემბრამდე. მთავარი არბიტრი იყო ჰოლანდიელი ჰეისენი. სეკუნდანტები მსოფლიო ჩემპიონის მხრიდან — დორფმანი და ნიკიტინი, კარპოვის მხრიდან — ზაიცევი და ლერნერი. ისევე, როგორც წინა მატჩებში, მეტოქეებს სხვა მოკავშირეებიც ჰყავდათ — კასპაროვის შტაბში იყო ზურაბ აზმაიფარაშვილი, კარპოვის ბანაკში — ელიზბარ უბილავა.

თუ წინა ორ მატჩში შეიმჩნეოდა კასპაროვის გარკვეული უპირატესობა, ამჯერად ამის თქმა არ შეიძლებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მთელი ორთაბრძოლის მანძილზე არც ერთ მეტოქეს არ მიუღწევია ორქულიანი უპირატესობისათვის, 6 პარტიაში მოწინააღმდეგეებმა სამ-სამჯერ მოიგეს, 10 პარტია კი ყაიმით დასრულდა: 8:8. ამ მონაკვეთში კარპოვი მეოთხე და მეხუთე პარტიების შემდეგ წინ იყო, მესამე პარტია კასპაროვმა მოიგო, მეთერთმეტეში გამარჯვების შემდეგ იგი დაწინაურდა, მეთექვსმეტეში კი წონასწორობა კვლავ აღდგა. ერთი სიტყვით, 8 დასკვნითი პარტიის წინ მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორც მატჩის დაწყებამდე — კასპაროვს მხოლოდ ის უპირატესობა ჰქონდა, რაც დებულებამ მიანიჭა მას — მატჩის ყაიმით დამთავრების შემთხვევაში ჩემპიონის წოდებას ინარჩუნებდა. ყაიმით დასრულებული ყოველი პარტია კასპაროვს მიზანთან აახლოვებდა მაგრამ რამდენი ენერგიის დახარჯვასთან და შინაგან დაძაბულობასთან იყო დაკავშირებული თითოეული ყაიმი!

მეთვრამეტე პარტიაში ინიციატივა ჩემპიონის ხელთ იყო. შავების ცენტრალური გამხოლოებული პაიკი შესაძლოა ზედმეტი გამხდარიყო. კარპოვმა მახვილგონივრული გადაწყვეტილებით იხსნა ეს პარტია. მეცხრამეტე პარტიაში უკვე ექსჩემპიონმა მოიპოვა უპირატესობა, შავებს პაიკი აკლდათ, მაგრამ ყაიმის ჩინებულ შესაძლებლობას ინარჩუნებდნენ. თამაში ოთხი ეტლის ენდშპილში გადავიდა, სადაც, მართალია, კასპაროვის გამსვლელმა განაპირა პაიკმა მეექვსე ჰორიზონტალს მიაღწია, მაგრამ ჩემპიონმა მას მარჯვედ გადაუკეტა გზა. 62-ე სვლაზე ექსჩემპიონი იძულებული გახდა ყაიმს დასჯერებოდა. ასე გაგრძელდა მე-20, 21-ე და 22-ე პარტიებში. ანგარიში საყაიმო იყო — 11:11. ვინ იფიქრებდა, რომ მატჩის ძირითადი მოვლენები წინ იყო, რომ ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყებოდა.

კასპაროვ-კარპოვის მატჩებში ფრიად პოპულარული იყო გრიუნფელდის დაცვა და აი, ოცდამესამე პარტიაშიც კასპაროვმა შავებით ამ საიმედო დაცვით სისტემას მიმართა. მან ყურადღება გაამახვილა ორი წლის წინანდელ ამბავზე, როცა 1985 წელს, ამსტერდამში, იან ტიმანის წინააღმდეგ კარპოვმა ვერაფერს მიაღწია. მეტოქეებმა ერთხანს გაიმეორეს ეს პარტია, მეათე სვლაზე კი მსოფლიო ჩემპიონმა სხვაგვარად ითამაშა. როგორც ბერლინის საჭადრაკო ჟურნალი „შახი“ წერდა, გარკვეულ მომენტამდე ღირსეული მოწინააღმდეგეები ფრიად გონივრულად მოქმედებდნენ. გამოიკვეთა მათი გეგმებიც: კარპოვი შეეცადა ინიციატივას ლაზიერის ფრთაზე დაუფლებოდა, სადაც გახსნა ხაზი, კასპაროვი კი იმედებს მეფის ფრთის იერიშზე ამყარებდა. 40 სვლის შემდეგ პარტია გადაიდო. ამასთან, როგორც მოგვიანებით გამოიარკვა, კარპოვმა უძლიერესი სვლა როდი ჩაიწერა. სწორი გაგრძელებისათვის რომ მიეგნო, ექსჩემპიონი აშკარა პოზიციურ უპირატესობას მიაღწევდა, ახლა კი, ბრძოლა რთულ ხასიათს ატარებდა ორმხრივი შესაძლებლობებით. 50-ე სვლაზე კასპაროვს უმძიმესი შეცდომა მოუვიდა. ასეთ სვლას კომენტატორები ორი კითხვითი ნიშნით აღნიშნავენ ხოლმე. ჩემპიონს მოეჩვენა, რომ ეტლის დროებითი შეწირვით იგებდა. სინამდვილეში კი, გამორჩა მეტოქის მიერ 53-ე სვლაზე კუს მეშვეობით განხორციელებული დარტყმა და დაუყოვნებლივ დანებება მოუხდა. ანგარიში გახდა 12:11 — ექსჩემპიონის სასარგებლოდ. ახლა კარპოვს ჩემპიონის წოდების დასაბრუნებლად უკანასკნელ პარტიაში ყაიმიც ყოფნიდა, კასპაროვს კი მხოლოდ მოგებაზე უნდა ეზრუნა.

საოცარია: მსოფლიო პირველობის მრავალი ფინალური მატჩი ვადაზე ადრე მთავრდებოდა. კასპაროვისა და კარპოვის „ბედი“ კი ზედიზედ მესამე მატჩში სწორედ უკანასკნელ, ოცდამეოთხე პარტიას უნდა გადაეწყვიტა. ეს გარემოება ძალთა გარკვეულ თანაფარდობაზე მეტყველებდა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ ღელავდნენ კასპაროვის შტაბის წარმომადგენლები. ასეთ რთულ პირობებში სიმშვიდე ისევ მსოფლიო ჩემპიონმა შეინარჩუნა. იგი ყველას არწმუნებდა, რომ აუცილებლად მოიგებდა ბოლო პარტიას და ყველაფერი წესრიგში იქნებოდა.

კასპაროვმა თეთრებით რეტის დებიუტის ერთ-ერთ ვარიანტს მიმართა და აშკარად ცდილობდა მეტოქისათვის ბუნდოვანი თამაში მოეხვია თავს. ეს ცდა წარმატებით არ დაგვირგვინებულა. უკვე მეათე სვლაზე კარპოვმა უკეთ ითამაშა, ვიდრე ეს თეორიით არის გათვალისწინებული. ერთი სიტყვით, თეთრების რაიმე სადებიუტო უპირატესობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. მაგრამ დებიუტს ხომ შუა თამაში მოსდევს. ახლა ჩემპიონს პარტიის ამ სტადიაში უნდა ეცადა ბედი. ეჭვები გამოიწვია შავების მე-16 სვლამ. ეს უზუსტობა რომ არა, პარტია კვლავ თანაბარ პოზიციაში გაგრძელდებოდა. ახლა კი ორი კუს უპირატესობა კასპაროვს უკეთეს შესაძლებლობებს აძლევდა. 27 სვლის შემდეგ კასპაროვს უკანასკნელი 13 სვლის მოსაფიქრებლად 14 წუთი რჩებოდა, კარპოვს კი მხოლოდ 6. ასეთ პირობებში ექსჩემპიონს გამორჩა უძლიერესი გაგრძელება, დაკარგა პარტიის ყაიმით დამთავრების შესაძლებლობა და 64-ე სვლაზე შეწყვიტა წინააღმდეგობა.

12:12 — ასე დამთავრდა ეს ფრიად დრამატული მატჩი. კასპაროვმა კვლავ შეინარჩუნა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის ტიტული. საინტერესოა, რომ, თუ 1985 წელს კარპოვმა ორი ქულის განსხვავებით წააგო, 1986 წელს მხოლოდ ერთი ქულით დამარცხდა, 1987 წელს კი მატჩი საერთოდ ყაიმით დასრულდა. კარპოვი აღმავლობის გზაზეა, მაგრამ...

ახლა კი ზოგიერთი სტატისტიკური ცნობა: 1984 წლიდან მოყოლებული, როცა დაიწყო ეს არნახული შერკინება, კასპაროვმა და კარპოვმა ერთმანეთის პირისპირ 367 დღე გაატარეს (გაუგონარი რამ ჭადრაკის ისტორიაში!) 1984-85 წლების მატჩში პარტიები საშუალოდ 34 სვლას გრძელდებოდა, 1985 წელს — 39 სვლას, 1986 წელს — 37 სვლას. ყველაზე ხანგრძლივი პარტიები უკანასკნელ, სევილიის მატჩში იყო — საშუალოდ 41 სვლა. სულ კასპაროვ—კარპოვის მატჩების 120 პარტიაში 4468 სვლა გაკეთდა. მოგებების რიცხვი კასპაროვის სასარგებლოდაა — 17:16. კასპაროვმა 13 პარტია თეთრებით მოიგო, 4 — შავებით, კარპოვმა 11-ჯერ თეთრებით გაიმარჯვა, 5-ჯერ შავებით. ყველაზე ხანგრძლივი პარტია 10 საათსა და 2 წუთს გაგრძელდა. და კიდევ ერთი რეკორდიც: კასპაროვისა და კარპოვის მიერ გათამაშებული 120 პარტია 1986 წლიდან მოყოლებული მსოფლიო პირველობაზე ნათამაშევი შეხვედრების (სულ 786 შეხვედრა) 15 პროცენტს შეადგენს.

1989-90 წლებში კარპოვმა პრეტენდენტთა მატჩები მოუგო ისლანდიელ პიარტარსონს იუსუპოვსა და ჰოლანდიელ ტიმანს, რის შემდეგ ერთხელ კიდევ მოიპოვა კასპაროვთან შეხვედრის უფლება.

მაშ ასე, მუდმივი მეტოქეები ზედიზედ მეხუთედ შეხვდებიან ერთმანეთს.

**გივი გამრეკელი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 187, 188, 189.**

## შოთა კაკაურიძე



**ტანმოვარჯიშეთა** თაობების აღმზრდელთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, შრომის ვეტრანი, შოთა ოქროპირის ძე კაკაურიძე. იგი დაიბადა 1919 წელს, თბილისში. სპორტს ბავშვობიდანვე ეზიარა და მომავალიც მას, კერძოდ, ტანვარჯიშს დაუკავშირა. 1940 წელს საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე თბილისის პირველ საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა მასწავლებლად. 1946-47 წლებში შ. კაკაურიძე ბავშვთა და მოზარდთა გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშულ სპორტსკოლაშია და პარალელურად მუშაობს ფიზკულტურის მასწავლებლად 87-ე საშუალო სკოლაში, სადაც 1985 წლამდე დაჰყო. აქ გამოჩნდა მისი პედაგოგიური ტალანტი. იქვე, სკოლის დარბაზში, აღზარდა არაერთი შესანიშნავი სპორტსმენი, რომლებიც შემდეგ წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო სარბიელზე. მათ შორის იყვნენ სპორტის ოსტატები — ძმები ჯემალ და ნოდარ ფრიდონაშვილები, ვაჟა ხაბეიშვილი, ბიჭიკო ელიზბარაშვილი, ბონდო მარველიშვილი, იუზა ონაშვილი და სხვები. თავის შეგირდებს იგი ზრდიდა ჭეშმარიტ მოქალაქეებად, უნერგავდა მათ სპორტისადმი დიდ სიყვარულსა და თავდადებას. შ. კაკაურიძე ორჯერ იყო დაჯილდოვებული საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით და საკავშირო განათლების სამინისტროს დიპლომებით.

შ. კაკაურიძე 1975, 1976, 1977 წლებში არჩეული იყო თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის საბჭოს დეპუტატად.

გულისხმიერი აღმზრდელისა და კვალიფიციური სპეციალისტის შ. კაკაურიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მოწაფეებსა და მეგობრებს შორის.

**საქართველოს სპორტსახკომი, ტანვარჯიშის ფედერაცია, სახალხო განათლების სამინისტრო.**

## ინფორმაცია

**ლონდონი.** აქ გაიმართა ჩოგბურთის არაოფიციალურ გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში — დევისის თასის გათამაშებაში მონაწილე ქვეყნების კენჭისყრა. საბჭოთა ნაკრები, რომელიც ვერ მოხვდა თექვსმეტ უძლიერეს გუნდს შორის, პირველ ჯგუფში (ევრო-აფრიკული ზონა) იასპარეზებს. 1991 წლის 1-3 თებერვალს იგი უნგრეთის ნაკრებს შეხვდება.

მთავარი პრიზის უშუალო პრეტენდენტები კი კენჭისყრამ ასე დააწყვილა: მექსიკა — აშშ, ესპანეთი — კანადა, ახალი ზელანდია — არგენტინა, გფრ — იტალია, იუგოსლავია — შვეცია, ჩეხოსლოვაკია — ავსტრია, საფრანგეთი — ისრაელი, ავსტრია — ბელგია.

### საჭადრაკო იუმორი

ვახტანგ კუციას ნახატები.







**რედაქტორი**
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია და საქართველოს ალპური კლუბი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჭუანშერ (ხიტი) ილიას-ძე მუხელიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი. კორექტორები ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20